

# ახალგაზრდა პერიოდი

ქვეყნის დამაარსებლის  
1921 წლის

საშუაგაბათი  
27  
ნოემბერი  
№ 131 (11617)  
1990

ქვეყნის დამაარსებლის  
1921 წლის

ახალგაზრდა პერიოდი - კომუნისტური გაზეთი

ფასი 8 კაპ.

## სოლომონ მეფის ნეშტი — საპარტიო საოცნებო პინაუი

ქუთაისი, 26 ნოემბერი (საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ კორ. მ. კილაძე). 175 წლის შემდეგ აღსრულდა ნატვრა საქართველოს უკანასკნელ გვირგვინოსანს, იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს — გელათის მიწაზე გულში ჩაიკრა სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის დამაშურალი მამულიშვილის წმინდა ნაწილები.

დიდალი ხალხი დაესწრო დაკრძალვას. საქართველოს ყველა კუთხიდან მეფე-რანდის საჭირისუფლოდ ჩამოვიდნენ საეკლესიო თუ საეროები, გელათს ეწვივნენ ბაგრატიონთა ოჯახები.

გიორგობის დღეს ბაგრატიონთა სახლიდან, „ოქროს ჩარბხიდან“, მეფის ნეშტი გადმოსვენებულ იქნა საქართველოს მეფეთა ტრადიციულ საძვალეში — გელათის მთავარ ტაძარში. საძვალეში არა პარაკლისი გადაიხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

24 ნოემბერი. დღის ორი საათი. ლეთისშობლის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს გაკრილ სამარეში უშვებენ მეფის ნეშტს. საფლავის ქვას, რომელიც ამ მხარისათვის ტრადიციული ეკლარის ქვი-საგან დაამზადეს ქუთაისელმა ოსტატებმა, მხედრული ასოებით შესრულებული ეპიტაფია ამშვენებს. მოკლეული წყაროების საფუძველზე, ტრაპიზონის საფლავის ქვაზეც ასეთი წარწერა ყოფილა გაკეთებული: „განმეძარცვა პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მღებარე ვარ შიშველ დაგდებული საფლავსა ამასაშინა ტომისაგან დავითისა შთამოსული ბაგრატიონი ძე არჩილისა სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაც ვიახოვ ყოველთა მიერ შენდობასა...“

— კარგია, რომ გელათის წმინდა ადგილებს კიდევ ერთი სალოცავი შეემატა, — უთხრა საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ კორესპონდენტს ქუთათელ-გაენათელ მთავარეპისკოპოსმა კალისტრატემ, — ჩვენს მღვდლარე დროში, როცა ამდენი რამის გადაფასება ხდება, ამ მაგალითით თვალნათლივ წარმოჩინდა, რომ ქვეყანაზე ყველაფერი წარმავალია ქობულეთის ერისათვის გაწეული სამსახურის გარდა, რომ ეს მსხვერპლი არის ყველაზე ძლიერი სულიერი საზრდო თაობებისათვის. ღმერთმა იხებოს, საქართველოს არ დაელიონ ასეთი მამულიშვილები.

თამაზ ძიძუაძე ფოტოები



## ქრონიკა, ინფორმაცია

1990 წლის 22 ნოემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის რიგგარეშე კონგრესი. მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პარტიის დირექტორატის გადაწყვეტილებას და მიზანშეწონილად მიიჩნია რფა-სა და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციად გაერთიანება. უმცირესობამ და პარტიის თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ არ გაიზარეს გაერთიანების გადაწყვეტილება და დატოვეს პარტიის კონგრესი. ი. შენგელიამ მოიხსნა პარტიის თავმჯდომარეობის უფლებამოსილება და გავიდა პარტიიდან.

როგორც ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისადმი რესპუბლიკურ-ფედერალურ პარტიის რიგგარეშე კონგრესის მიმართულია აღნიშნული, გაერთიანების გადაწყვეტილება უნდა განხილვოდეს, რაგორც მისწრაფება საქართველოში პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანებისაკენ, პოლიტიკურ პრინციპთა თანხვედრილობის საფუძველზე და უნდა წარმოადგენდეს ახალი ტენდენციის დასაწყისს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გაზეთი დასაბუქდად მზად იყო, როცა ბატონმა ირაკლი შენგელიამ გადმოგვცა განცხადება, რომელსაც ვებუდავთ მე-6 გვერდზე.

25 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის ედგარ სავისაარის მეთაურობით. თბილისის აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, აგრეთვე მინისტრები, საზოგადოებრიობის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

ჩვენი ესტონელი მეგობრების დელეგაცია, რომელშიც შედიან მინისტრთა კაბინეტის წევრები, ამ რესპუბლიკის მთავრობის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, მოლაპარაკებას აწარმოებს საქართველოს მთავრობასთან პოლიტიკური, სამეურნეო, სოციალური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა დარგებში ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის პროგრამის განსაზღვრის მიზნით.

როგორც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუამ აღნიშნა, მომავალი მოლაპარაკება იქნება ბალტიისპირეთის სახელმწიფოებ-

თან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისათვის ჩვენი მთავრობის დიდი და პასუხისმგებელი მუშაობის დასაწყისი.

ესტონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ედგარ სავისაარმა ქართველ ხალხს მიულოცა განვლილი მრავალპარტიული არჩევნები, დიდი შეფასება მისცა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებულ დოკუმენტებს.

26 ნოემბერს, დილით, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში გაიმართა შეხვედრა ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასთან, სტუმრებს მიესალმა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები.

დიწყო მოლაპარაკება ორ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების დადების შესახებ.  
საინფორმაციო ს. პანტო  
„საპარტიო“.

### პურადლება

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი გაზეთის ხუთშაბათის ნომერში (№ 129, 22. XI. 1990) უკვე გაუწყვეთ, რომ თქვენ ვეძღვეთ შესაძლებლობა შეხვედეთ და ესაუბროთ „ახალგაზრდა ივერიელს“ ყველა თაობის, ანუ ოციანი, ოცდაათიანი, ორმოციანი და შემდეგი წლების ჟურნალისტებს და მოისმინოთ მათი გულახდილი საუბარი...

ამასთანავე რედაქცია მოელის, რომ შემოგვათავაზებთ იდეებს, სურვილებს, წინადადებებს, რათა საქართველოს ერთადერთი ქართული ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, რომელიც კვირაში სამჯერ გამოდის, უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო და ქმედითი გახდეს!

შეხვედრა-დილოგი გაიმართება დღეს, სამშაბათს, 27 ნოემბერს, რედაქციის შენობაში — თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა, № 14, სართული V, გამომცემლობის კლუბი.

დასაწყისი: 3 საათზე.  
კეთილი იყოს თქვენი მობრძანება და შეხვედრა, ძვირფასო კოლეგებო და მკითხველებო!

„ახალგაზრდა ივერიელი“ რედაქცია  
საპარტიო საზოგადოებრივ-პოლიტიკური კავშირი.

## გამოცემით



იჩქარეთ, გამოიწერეთ კულტურის საერთაშორისო ასოციაციის გაზეთი „პეგასი“. იგი ჩერკობით ჩვენს გაზეთთან გამოდის, თვეში ერთხელ, მაგრამ ახალი წლიდან დამოუკიდებლად გამოვა.  
„პეგასი“ მოგაწვდით მასალებს, როგორც საქართველოს კულტურული ცხოვრებიდან, ისე საზღვარგარეთის საინტერესო ხელშეწყობის კულტურის მოღვაწეთა შესახებ, იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც ცოდნაც საჭიროა (და ვიცოდით — აუცილებელიც კი) ყოველი სტრუქტურული ადამიანისათვის.  
„პეგასის“ წლიური ღირებულებაა 12 მანეთი. მისი ინდექსია 1918. იჩქარეთ, გამოიწერეთ „პეგასი“!

სსრ კავშირის პრაზიდიენტს

მ. ს. გორბანოვს

საოკეანო ხელშეკრულების პროექტის თაობაზე

ინსპერა რა „ახალი სამოკეანო ხელშეკრულების კონცეფციაზე“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საკურორდო მინისტრის განცხადებით...

ლამოუიდელობა 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მიერ...

ფვის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ამ პირობებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს...

ერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში ამა თუ იმ ქვეყანასთან თანამშრომლობის ნებისმიერ ფორმაზე, რომელთა უზრუნველყოფისათვის საქართველოს კავშირი აქვს საუკუნეების განმავლობაში და დღესაც ნაყოფიერად თანამშრომლობს...

შრომობისათვის თანამშრომლებიანი ურთიერთობის საფუძველზე, რაც უსწორ ურთიერთობის მონაწილეთა კეთილდღეობამდე მივყავართ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 22 ნოემბერი.

ბატონო გურამ! იმედია გემხსოვრებათ, რომ 1990 წლის აპრილის დამდეგს მარნეულის რაიონის სოფელ წერაქვის კლდეში საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენელთა თხოვნით, როგორც ძველი იტყვიან, მაღალი დონის თათბირი გაიმართა. ის თავიდან დაიწყო ორი მთავარი სოფლის სიონისა და წერაქვის ძირძველი მოსახლეობის და სენათიდან სტიქიით დაზარალებული, ახლად ჩამოსახლებული ოჯახების მიმართ სოციალური ყოფის მოსაწყობებლად შესდგა.

წლიდან დღემდე სოფლებში, წერაქვსა და სიონში, აშენდა: 1. 130 მოსწავლეზე გათვალისწინებული საშუალო სკოლა (სოფ. წერაქვში), 2. სამეურნეო დანიშნულების რამდენიმე ნაგებობა, 3. წყალსადენი სოფელ წერაქვისათვის, 4. საბავშვო ბაგა-ბაღი სოფელ წერაქვისათვის, 5. სახლები სტიქიით დაზარალებულ სენათა ოჯახებისათვის ორივე სოფელში, 6. ადმინისტრაციული შენობა სიონ-წერაქვის შესაყარზე, რომელ-

რთული სიმღერა (მანამდე მხოლოდ ერევანს უტყუროდნენ და უსმენდნენ). 1985 წელს არქიტექტორმა ი. ჩხეიძემ უსასყიდლოდ შეასრულა მიხეილ ჯავახიშვილის მუზეუმის პროექტი. იმავე წელსვე გაიჭრა მუზეუმის საძირკველი. 1988 წელს მუზეუმის მშენებლობა დამთავრდა. წელს, ალბათ, შეეძლება მის გახსნას. 1988 წელს სოფელ წერაქვში გახსენით ბიბლიოთეკა. 1989 წელს დამთავრდა ბაგა-ბაღის მშენებლობა და მიმდინარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ვის თვლით არ შეხედავთ, გამოვითქვით და გულახდილად გეტყვი — ეს ღია წერილი სწორედ ის შემთხვევაა, როცა თქმა, დიხაჯ სჯობს. საჯაროდ თქმა იმითაც არის კარგი, რომ ურთიერთობის თქმულისგან განსხვავებით საქვეყნოდ ნათქვამი სიტყვა ორთავ მხარეს, — მოქმედსა და გამგონესაც, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. საქვეყნოდ დადებულ პირობას შესრულება უნდა! თქვენი და ჩემი პასუხისმგებლობა დღესდღეობით საზოგადოების კონტროლსაც (სინდისის ხმის გარდა) ექვემდებარება.

დგა, რომელიც შეუმიანიდან წერაქვამდე მისაყვანად არის საჭირო... ბატონო გურამ, თქვენდამი პატივისცემის ნიშნად და კიდევ ჩვენი ათწლიანი ურთიერთობის გამო სიტყვას აღარ გავაგრძელებ... იქნებ გამოვიდოდა სამეურნეო მუშაისათვის არც იყო დასაძრახისი ის ეშაყვანები, რომელთა გამოც დღემდე წინ ნაბიჯი ვერ გადავიდგამს...

ღია წერილი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორს ბატონ გურამ ქავთაძეს

შიც სულ მალე ადგილს დაიღებთ სოფლსაბჭო, ფოსტა, ტელეგრაფი, ამბულატორია. თუ რაიმე გამოძრია, იმედია, შემახსენებთ. მარნეულის რაიონის საგზაოს ძალებით, 1980 წელს გაყვანილ იქნა მოსახლეობის გზა დაბა შაუმიანიდან სოფელ წერაქვამდე, იმავე წელსვე გაიჭრა საკარმიდამო ნაკვეთები ს. წერაქვის მკვიდრთათვის, 1980 წელს მთელმა საქართველომ იღივსაწაულა დიდი ქართველი მწერლის, სოფელ წერაქვის მკვიდრის მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავი და მისთვის პატივსაცემად დაწესდა ყოველწლიური სახალხო დღესასწაული „მიხეილწველობა“. 1979 წლიდან დაიწყო წერაქვის ღვთისმშობლის ეკლესიისა და მთლიანად სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოები (მრავალი წინაღობისა და გაჭირვების მიუხედავად ამ საქმეს კარგად გააჩნდა თავი მხარავარ-რესტავრატორმა ქანა ქეთევან ჩხეიძემ), 1980 წლის 5 სექტემბერს წერაქვში პირველად სოფლის არსებობის მანძილზე, მივიდა ავტობუსი — თბილისი-წერაქვი. ამავე წელს სოფლის კლდეში მიხეილ ჯავახიშვილის საიუბილეოდ გაიხსნა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მცირე, დროებითი გამოფენა.

მარნეულის საგზაოს ყოფილი უფროსის ქ-ნ მარიამ ბლომისვილის წინადადებით და ნეტარხსენებელი ბატონი სანდრო გლუჩაძის დიდი მხარდაჭერით, ხოლო მისი უღრმოდ გარდაცვალების შემდეგ გზებისა და ტრანსპორტის მინისტრის ბატონ ბორის სარაიძის, მისი მოადგილის ბ-ნ ალექო ჩხეიძის მადლიერული მონაწილეობით მიუხედავად უბედურებისა, მასალათექნიკის, დასასრულს უახლოვდება (1980 წლის გაყვანილი გზის ბაზაზე!) ახალი კეთილმოწყობილი თხუთმეტკილომეტრიანი გზატკეცილის მშენებლობა.

1990 წლის 20 აპრილს დამტკიცებული გეგმა 24 პუნქტ — პასუხისმგებლობას შეიცავს. ამ ოცდაათიდან მე ორს — სოფლებში სასაბავშვო პრობლემას შეეხება, პირველი პრობლემა ჩამოსახლებული სენათის სასმელი წყლით უზრუნველყოფაა, რომლის მოგვარებაც დღევანდელ პირობებში მხოლოდ თქვენ და თქვენს ქარხანას ხელგეწივებით, ბატონო გურამ.

რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ თქვენი ხელმძღვანელობით დიდი საქმე გააყვანა ქვემო ქართლის ამ ორი სოფლის გადსარჩენად. მაღალი ქნილია, მარილის მოყრადა საჭირო. წერაქვსა და სიონს საჩქაროდ უნდა მისცეთ წყალი და გაზი, წყალი და ცეცხლი, პაეტი რომ იქ დიდებულია, თქვენც კარგად მოედილებოდა, მაგრამ ოდენ პაეტი ვერ აშენდება, ვერ იტყვებოდა სოფელი! წერაქვისა და სიონის მცხოვრებთათვის სასმელი წყლისა და გაზის მიწოდებაზე ხომ თქვენს მოადგილესთან, ბატონ ვახტანგ კვიციანიანს ერთად, დამტკიცებული პროექტის თანახმად, მეც ვაგებ პასუხს!

ამ თათბირზე მიღებული გადაწყვეტილებანი პროექტად ჩამოყალიბდა, შემდეგ კი დამტკიცდა მეტალურგიული ქარხნის შრომითი კოლექტივის საბჭოსა და მარნეულის რაიონმასკომის ერთობლივი სხდომის მიერ ა/ წლის 20 აპრილს. ერთი პირი ამ სახელმძღვანელოდ დამტკიცებული გეგმისა, გადმოიხილა მეც, როგორც ბოლო ათწლეულის მანძილზე ჩემს თანამოაზრეებთან ერთად ამ სოფლების ბედობლად დაინტერესებულ პირს. თავს უფლებას მივცემ და შეგახსენებთ, ორი წლის დაუღალავი მძღვანელობის შემდეგ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტს ივანე თვალავასისა და მისი თანამოაზრეების ოთარ თაბუკაშვილის, ვიორგი პაპავას, ლედი ბერევიანისა და კიდევ რამდენიმე აღმნიშნის მხრიდან, რომელთაც სოფელ წერაქვის მცხოვრებელთა ერთი ჯგუფიც ედგა მხარში) ორი ქართული სოფელი სიონი და წერაქვი გამოვეყო შეუმიანი საბჭოთა მეურნეობას და შეიქმნა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დამხმარე მეურნეობა „ხალიბი“.

მეტალურგიული ქარხნის მამინდელ დირექტორს ბ-ნ ოთარ სულაძეს, ვიცი, კარგად ემანსოვრება ყოველივე. გადაწყვეტილების მიღებისთანავე მეტალურგიული ქარხანა შეუდგა ორივე სოფლის ასპორაციონალად საჭირო საჭიანობას, დახმარება არ დაყოვნეს განათლებისა (მაშინდელი მინისტრი ბ-ნი ოთარ ქინჭაძე) და კავშირგაბმულობის (მინისტრი ბ-ნი ვლადიმერ კობახიძე) სამინისტროებმაც.

დაბოლოს, 1980 წლის 5 სექტემბერს, ხუთი წერაქველი მოზარდისა და მათი მშობლების ხელწვევით გაუქმებული სკოლის უბოში ზარიც დაირეკა. ვა ბატონიამ რვა გრძელი და მძიმე წელი დაჰყო ამ სკოლის დირექტორად. დღეს წერაქვის სკოლაში, თუ არ ვცდები, 60-მდე ბავშვი სწავლობს. სადღესობა ს. სიონში ცეკავშირმა უკვე გახსნა პურის საცხობი, იგივე უწყება ახალ მათაზიას და პურის საცხობს წერაქვშიაც აშენებს. ჯანმრთელობის მინისტრი მზად არის ორივე სოფელი კეთილმოწყობის ამბულატორია, დანიშნის მედპერსონალი, როგორც კი აღმინისტრაციული შენობის მშენებლობა დამთავრდება.

მეორე პრობლემა ორივე სოფლის გაზიფიკაციაზე გახლავთ. უმოწყალოდ იჩენება წერაქვის მამაპაპური ტყეები, ურბებით, მანქანებით, „ტაშიკებით“ გააჭუთ და გააჭუთ ყოველ შემთხვევაში წიფელი, თელა, მუხა, — დიხა მუხაც... არ უარყოფთ, ალბათ, მთელი წელიწადი ყველაფერზე გახლავთ მისი მიცემული სიტყვა საქმედ ვაქციეთ; გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტმა ძალზე მოკლე ვადებში შეასრულა ტრასის საპროექტო სამუშაოები, გაზის გაყვანაც დაიწყო, შეუმიანიდან თითქმის მივიღენ კიდევ. ჩერი იმ მიღებზე მი-

მეცით მიღები გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტს, ბატონო გურამ, მიეცით სოფელს წყალი! მაღლიერი ხალხი ამ სიყვითეს არასოდეს დაგივიწყებთ.

ბსურტი სიგაღლეუი მოიგატოთ? რა დახამალია, რომ ჩვენს შორის ხაკმარხიანად არიან ისეთები, რომლებსაც ოცნებათ აქვთ

ქვეული ხიმაღლეში მომატება. მცირე ხიმაღლე ზშირ შემთხვევაში უკვე ბავშვობიდან იჩენს ხოლმე თავს, თანაც ოცნებას ახე-თებს „წრიბუქებს“ უწოდებენ და ერთგვარად ხუმრობის ობიექტად ჰყავთ ქვეული. არის კი ხაშველი? არის იმის შესაძლებლობა რომ ტანმორჩილმა და ჩაგრულად არ იგრძნოს თავი და რაღაც ვარკვეულ საშუალო სტანდარტს მიაღწიოს, თურმე არის.

ლიტური ცენტრის მოსკოვის ფილიალი, სადაც მოზარდობი 4-5 ხანტიმეტრის იმატებენ ხიმაღლეში. მკურნალობა ხდება ორგანიზმისათვის სრულიად უვნებელი მეთოდით. ეს მეთოდი შექმნა ცნობილმა ნოვარტორმა ექიმმა ანატოლი პალკომ.

ბაპონებრე „პირიმუ“ მოლს, კოსმეტოკა, ცითიკა, ესთეტიკა, ორთოდული კონსულტაცია, რჩევები — აი, ეურნალ „პირიმუ“

რიმზის ტრადიციული თემები. მომავალი წლიდან თემატოკა კიდევ უფრო სიანტერესო და მრავალფეროვანი გახდება. ეურნალი წელიწადში ექვსჯერ გამოდის. ნომრის ფასი 80 კაპიკა ანუ წელიწადში — 4 მანეთი და 80 კაპიკი. ძვირფასო მკითხველო, ხელმოწერის ვადები იწურება. გამოიწერეთ „პირიმუ“!

**გავზომილიდროინდელი** არჩევნები დამამახსოვრდა. დიდი ბელადი ჩერაც ცოცხალი იყო და არჩევნებიც მის მიერ გამოჭრილი თარგზე ტარდებოდა. უთენია ჩამოვდებოდნენ კარდაკარ, კაცს ძილს არ აცილიდნენ. მიზანი ის იყო, საყოველთაო ენთუზიაზმი ეჩვენებინათ, ზედმეტი, ზალხი რაოდენ განხრებულნი და ბედნიერნი. ზმირად კანდიდატს არც არავინ იცნობდა, მაგრამ ერთგულნი და აღფრთოვანებამიანი უნდა გამოეხატა. თუ არ გამოეხატა და მის ბედს მტერი არ ინატრებდა. ბავშვი ვიყავი და ეს ენთუზიაზმი გულწრფელი მეგონა... მოგვიანებით, ხრულშოვისა და ბრეჭნევის ეპოქებში სიცრუის ეს მანქანა ისე მუშაობდა, ერთს არ დაიბრუნებდა. მასსაც, პირველად ვლადიმერსტოკში მივიღე არჩევნებში მონაწილეობა. მომცეს ორი ბიულეტენი. ერთში გწერა კომუნისტი ფუნქციონერის გვარი, მეორეში ვიღაც კონტრაღმირალისა, ვიფიქრე, ორიდან ერთი უნდა ავირჩიო-მეთქი და ფუნქციონერის გვარი გადავხაზე. ახლა მეცინება ჩემს გულუბრყვილობაზე. როდის იყო, ვინმე შემოგთავაზეს და არ აირჩიეს, ანდა ენთუზიაზმით ამომრჩევლთა პროცენტმა 99,9-ზე დაბლა დაიწია. მერე და მერე როგორც უმრავლესობა, არც მე დავდიოდი არჩევნებზე. ჩვენს მაგივრად თვითონ კომისიის წევრები ყრიდნენ ურნაში ბიულეტენებს ბათონობით და თვითონვე გამოთვლიდნენ ამ ყბადღეებულ პროცენტს.

ბოლოს დაღა გარბანოვისეული ალტერნატიული არჩევნების დრო. მაშინ, გასსოვთ, ალტერნატივა ორიოდ საარჩევნო უბანში მოხერხდა, თორემ აპარატული თამაშობანი მთელი სიჭაბდით წარმოჩინდა. მოგვიდა ამომრჩევლებთან შეხვედრაზე და ვხედავ, პრეზიდენტმა ცამოქმედულან რესპუბლიკის დეპუტატი და საქალაქო დეპუტატი. თურმე არჩევანი ამით შორის უნდა მოგვეხდინა. გამოდინა ორატორები და კანდიდატებს თხოვეს ათასნაირი წვრილმანებს, მოკლე, დიდბა ტრადიციული განაწილი, რომელსაც შემდგომ დეპუტატი ან შეასრულებს ან არა... მოვიხილე სიტყვა. იფიქრეს, მწერალი კაცია, კვიანურს რამეს შეგავსებს. მე კი ვთქვი: რაში ეკითხება საკავშირო დეპუტატს ეს წვრილმანები, მაშინ ავგობობრივმა დეპუტატებმა რა უნდა აკეთონ-მეთქი. მერე კანდიდატებს მივუბრუნე: ხალხო, თქვენ ხომ უკვე იყავით დეპუტატები, ხილვების მალოა აწვივის მეტი ფრჩხილისლოდენა არათვითი გიკითხებით და ახლა რა სინდისით მიბრძანდებით მოსოვის-მეთქი... დაახლოებით ამ სულისკვეთებით გილაპარაკე. პარტიულმა ფუნქციონერმა, რომელიც, რა თქმა უნდა, თვალსაჩინო ადგილზე, პრეზიდენტობა იცდა, ბოლომდე მომამახს, ახლა ყველანი ვათამამდით, ადრე სად იყავითო. ამაზე მაშინ ვთქვი, ადრე ყველა ნი „იქ“ ვიყავით, მაგრამ ახლა, როცა ამის საშუალება მოგვეცა, რატომ თქვენც არ თამამდებით-მეთქი. ალბათ ფიქრობთ, ყველაფერი უკუღმა შეტრიალდება და ჩემთანაა სიმართლისამაძიებლებს ეტაპებით მიაბრძანებენ სადაც ჯერ არს-მეთქი... ასე რომ, სიმართლის თქმას ყველა დროს ჰირდება კაცობა და ზნეობრიობა. იმ კანდიდატებიდან ერთი, რა თქმა უნდა, კრემლში წაბრძანდა და ალბათ კრემლის სასახლის ბუფეტში მიირთმევს ხიზილას, ანდა სარგებლობს გაკრივლებული კლონეტით. ყოველ შემთხვევაში, მისი სადეპუტატო საქმიანობის შესახებ არაფერი მსმენია.

წლებადღე გაზაფხულს დაინიშნულ არჩევნებზე ბევრს არაფერს ვიტყვი. მაშინ მეც მეგონა, რომ არსებულზე უკეთეს პარლამენტს მაინც ავირჩევდი. ახლა ვფიქრობ, რომ ის სარგებელი, რასაც რამდენიმე სათუელი ოპოზიციონერის არჩევა მოგვცემდა, გაქარწყლებოდა იმით, რომ კომპარტია სავაზაფხულო არჩევნებში შეძლებდა პოზიციების შენარჩუნებას და პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედების საშუალება უპირატესად მას ექნებოდა. ამიტომაც იმ არჩევნების ბოლოტი მართებული იყო. თუმცა ზოგიერთი ამბობს, ამით დრო დავკარგეთო, მაგრამ ეს არ არის სწორი. მოჩვენა მთავრად ვიანდესო, ზომ ამბობენ. იქნებ რამდენიმე თვე დავკარგეთ, მაგრამ შედეგად მივიღეთ სულ სხვა პოლიტიკური ვითარება, როცა ოპოზიციამ გადამწყვეტ გამარჯვებას მიაღწია.

თითქმის ერთი თვე გრძელდებოდა უზენაესი საბჭოს საარჩევნო კამპანია. ეს ვახსოვდება ბლოკ „თავისუფლების“ კანდიდატი სამეგრელოს ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში (როგორც უპარტიო). ეს იყო ჩემი ცხოვრების მეტად ამაღლებ

ბა, მაგრამ მთელი საარჩევნო კამპანიის მანძილზე არ ყოფილა თუნდაც მცირედი მცდელობა, ერთმანეთის ხარჯზე ქულების მოპოვებისა. დავდიოდი სოფლიდან სოფელში, დღეში ორჯერ და სამჯერაც ვხვდებოდი ამომრჩევლებს. თითო შეხვედრა ოთხ-ხუთ საათს გრძელდებოდა... ალბათ საქართველოს ისტორიის მანძილზე არ ყოფილა ასეთი მასობრივი ენთუზიაზმი... ჩვენთვის მთავარი პოზიციის გამარჯვება იყო და ეს მოხდა...

# დავპარსვდი, მებრამ გავიმარჯვე!

ვებელი თვე. არა იმიტომ, რომ მე ვამეხსნა დეპუტატობის შანსი, არამედ იმიტომ, რომ მე დავინახე შანსი საქართველოსათვის.

პოლიტიკური გადწყვეტილებების ქეშპირება მისი რეალისტური შემოქმედება. ყველაზე ბრწყინვალე იდეა, თუ ის ხალხის ფართო მასამ არ აღიქვამს, მარცხს ითვსაა განწირული.

ამ საარჩევნო კამპანიის დადებითი ბეჭედი ჰქონდა, იყო უარყოფითი მომენტებიც. მინუსი ალბათ ჩვენი გამოუცდელი მისია და ჩვენი „ქართვლობის“ შედეგი იყო. ჩვენთან ხომ ჯერჯერობით „მსოფლმხედველობის“, „იდეის“ პარტიზანული ლიდერობა პარტიები, ე. ი. პარტია, რომელიც გარკვეული პირობების ირგვლივ იკრებოდა. რა თქმა უნდა, პიროვნების არაყინ გამოჩენას, მაგრამ ის პარტიები, რომელთა შორის მსოფლმხედველობრივი სწავლობა ფრაქციულზე მეტი არაა, ერის ბლოკში უნდა მოქცეულიყვნენ. გასაგებია, რომ ნეოკომუნისტური დაჯგუფებები (ცდილობდნენ თავიანთი განსხვავებული იმიჯის შექმნას, რათა გამოეჩინებინათ კომუნისტურ გემს, რომლის ფსკერში უკვე წყალი უნდა იყოს. ეს მათ ვერ შეძლეს. ვერც იმ დაჯგუფებებმა მიიღწია მიზანი, რომელიც სახელმწიფო შეიქმნა და პრესტიჟული სახელების იმედი ჰქონდა. ყველა სახელმწიფოებრივმა ქართველმა სიმართლეს უნდა გაუსწოროს თავალი: ვინც კომუნისტური ეპოქის ნებეღრა იყო, თუნდაც დიდი ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით გამოჩნეული, მაინც არსებული სტრუქტურის შვილია. ქართველი ხალხი პარტიის მიაგებს ყოველ ნიჭიერ კაცს, მაგრამ უარს ეუბნება ძალაუფლებაზე იმათ, ვისაც მანამდეც ჰქონდა ძალაუფლება და სასიკეთოდ ვერ გამოიყენა. ეს აშკარად გამოვლინდა არჩევნების პროცესში, როცა მავან პარტიას ბუფერულ ორგანიზაციად მიიჩნევდნენ... ამასთან, იყო ორგანიზაციები, რომელნიც ლოგიკით „მრგვალ მაგიდაში“ უნდა ყოფილიყვნენ. მათ ჰქონდათ ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკა. მხედველობაში მათქმს უპირატესად „თავისუფლებაში“ თავმოყრილი პარტიები...

ასე იყო თუ ისე, ჩემს საარჩევნო ოლქში შეიღმა კანდიდატმა ვიბრძოლეთ ბოლომდე. ის, რაც პარტიათა ლიდერებმა ვერ შეძლეს, ჩვენ შევძელით, რაკი შეიღ კანდიდატიდან ექვსი ერთ მხარეს იდგა, მეორე მხარეს კი კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი რჩებოდა. რა თქმა უნდა, ყოველ ჩვენთავანს გვიწოდდა დეპუტატობა

იმ დღეს საარჩევნო უბნებთან უზარმაზარი რიგები დადგა. ის აღამაინებდა, ვისაც არასოდეს მიუღიათ არჩევნებში მონაწილეობა, ახლა კარგად აწყდებოდნენ. სიხეტერესოა, რომ ამომრჩევლთა ძიმანამდე განზე იდგა, ანდა სხვა დაჯგუფებების მხარეს იხრებოდა. ელცინი წერს, რომ თავის გამარჯვებას ნაწილობრივ კომპარტიის მოსაკვისი საქალაქო კომიტეტს უნდა უმადლოდეს, რაკი ეს უკანასკნელი ცდილობდა გზა გადმეკეტა მისთვის და ინსინუაციებსაც არ ერიდებოდა... ტროას ცენი, პატარა ცხენის, სუკის აგენტი და ამგვარი, ყველა ნორმალური ადამიანისათვის მუდამ ცხველი, პოლიტიკური ბოლომდე გამოწყვეულმა ზედწოდებმა უმცირესი ზიანიც ვერ მიაყენა ერის ლიდერის სახელს, ბუმბერაზის ძალა კი შეიძინა და ქართველი საზოგადოების თვალში ავტორთა ავტორიტეტი დასცა... უკიდურესად უარყოფითად შეფასდა არჩევნების წინა საათებში ზვიად გამსახურდიას კიდევ ერთი დისკრედიტაციის მცდელობა... დაბოლოს, „იხვესტიის“ ყბადღეული პუბლიკაცია, რომლის ავტორმა ვითომდა ობიექტურობის ნიღაბი მოიარგო და საქართველო ისე წარმოადგინა, თითქოს აქ უკვე სამოქალაქო ომი მიდიოდეს, რეორი მეფობდეს, შეფარვით კი შეეცადა ყველაფერი ის ზვიად გამსახურდიას კისერზე ჩამოეიდინა.

მინდა შევეკითხო ზვიად გამსახურდიას ოპონენტებს: ვისთან დავხართ? მოგწონთ თუ არ მოგწონთ ბატონი ზვიად გამსახურდია, ხომ უნდა ხედავდეთ, რომ იმპერიულ ძალებს დღეს ყველაზე მეტად მისი დამარცხება და დისკრედიტაცია სწადია, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად, ჩვენივე ხელბით... ნუთუ თქვენც ხმები უნდა შეუერთდეს იმათ ხმებს!...

არჩევნებში მე დავმარცხდი, ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოვაგროვე. მაგრამ ჩემს გულს შური და წყენა არ გაკარგებია, რადგან ამდღეოვლად მე ვავიარაღვე, რაკი ვამარჯვებ პოლიტიკურმა ძალამ, რომლის ნაწილად ვთვლი ჩემს თავს... ვამარჯვებ ეროვნულმა მოძრაობამ. საქართველოს პირველად ორი საოკუნის მანძილზე მიიღია შანსი, გამოჩნდა ქეშპირი პერსპექტივა განთავისუფლებისა...

„იხვესტიის“ ნურაიან ჩამომართმევს, ჩემს ნაწილობრივ არასოდეს ერთი სიტყვითაც კანცერული ფერხვა არ დამცდენია რომელიმე ჩემს თანამედროვე პოლიტიკურ მოღვაწეზე, რადგან ყველაზე ნიჭიერნიც კი, ვინაც პოლიტიკურ ასპარეზებზე წარმატებას აღწევდა, ყოველთვის დანიშნული იყო უზენო ძალების მიერ უზნეო მცდელობების შედეგად. პირველად ჩემი ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე ზნეობრივმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო. ზვიად გამსახურდია დიდი კონსტანტინეს შვილია! მან თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ღირსეული შვილია მამისა და მთელი ქართველი ერისა. მისი ცხოვრება არის ცხოვრება პიროვნებისა, რომელმაც იმთავითვე აირჩია ეკლანი გზა განმათავისუფლებლის! ცხადია, ეს მძიმე გზა უშედეგოდ და იავადით მოფენილი არ ყოფილა, მაგრამ ჩვენი არსებობის ლოგია ასეთია: ტანჯვით, ცდილობებით, ქეშპირების უწყვეტი ძიებით უნდა მიხვიდე დასახულ მზნამდე... ზვიად გამსახურდიამ გაიარა ყოველივე ეს და მიაღწია მიზანს — წილად ერგო უფრო მძიმე, უფრო საშიში, თავდადების ზღვარზე მისული საქმე — ერის თავკაცობა ამ არეულ, განუკითხავ ეპოქაში, როცა ტაშის გრიალში ტყვისი ზუზუნიც არაა გამოჩნეული.

ბატონო ზვიად! დაე, ქართველ ხალხს გამართლებოდეს თავისი არჩევანი! მზად იყავით თავდადებისათვის და ჩვენც, ყოველი ქეშპირი ქართველი, საქართველოს ერთგული ყველა მკვიდრი, თქვენთან ერთად მზად ვიქნებით, რათა ან გავიმარჯვოთ, ან თავი დავდოთ სამსხვერპლოზე!

ღმერთი იყოს საქართველოს მფარველი!

საზოგადოებრივად ცნობილია, რომ ა. წ. 22 ნოემბერს შეიქმნა იქნა საქართველოს პირველი პარტიული-ფედერალური პარტიის საგანგებო კონგრესი. რაც საკითხთა შორის უმთავრესი იყო განხილვა დირექტორატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა პარტიის გაერთიანების შესახებ საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირთან, რაც ნიშნავდა პარტიის შესვლას ბლოკ „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს შემადგენლობაში, შესაბამისად მის განხილვას ბლოკ „თავისუფლებიდან“. კონგრესის დღეგატა უმეტესობამ (42 ხმით) მხარი დაუჭირა იხლოპარტიას, ხოლო დღეგატა ნაწილი (38 ხმით) წავიდა წინააღმდეგ ამ გადაწყვეტილებისა (7 დღეგატა გაურკვევლობისა გამო თავი შეიკავა). იხლოპარტიის აქტის საბაზისოდ გადადგა საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის თავმჯდომარე ირაკლი შენგელია. მან და გადაწყვეტილების წინააღმდეგ წასვლამ დღეგატებმა დატოვეს კონგრესი, ვადიდნენ პარტიის შემადგენლობიდან და შექმნეს დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფი.

თავს უფლებას ვაძლევთ

**განმაცხადოთ**

1. დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფი არ წარმოადგენს პარტიას ან კავშირს.
2. დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფი რჩება ბლოკ „თავისუფლებიდან“ წევრად.
3. დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფი ბლოკთან ერთად მონაწილეობს მიღებას საქართველოს უზენაესი საბჭოს ცენტრალური ხარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულ მომავალ ნებისმიერ არჩევნებში.
4. დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფს ექნება კონსტრუქციული და საქმიანი ურთიერთობა საქართველოს ამჟამინდელ უზენაეს საბჭოსთან.

დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფის ამოხვეალი პრინციპებია: სახელმწიფო მოწყობაში — რესპუბლიკურობა და ფედერალურობა, მმართველობაში — ინტელექტუალურობა და ელიტურობა, ეკონომიკაში — მონეტარურობა, საერო ურთიერთობებში — სავაითო-კავშირული უშუალოდნი და სტაბილურობიდან მსოფლიო თანაარსებობის წევრობა.

მიზანი ნათელია და გარკვეული — დემოკრატია და თავისუფლება! დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფის სახელით

**ირაკლი შენგელია**


**დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფი**

**„სვანეთის“ პირველი ყრილობა**

1990 წლის 1 დეკემბერს, 12 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭო დარბაზში ჩატარდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სვანეთის“ პირველი ყრილობა.

დღეგატების რეგისტრაცია იქნა არბოებს იმავე დღეს 10 საათზე.

**საზოგადოებრივი ორგანიზაცია**



# წარმოადგინო... რა უნდა ყველა

უწვეული ძალა აქვს ფოტოს... მივლენების მთელი სიხადით აღზევდნისა და ასევე სიხადით (თუნდაც მრავალი წლის შემდეგ) გადმოცემისა. თუმცა ფოტოებზე, დღეს რომ წარმოადგინო, წლებსა და დროს ჯერ ნაკლებად დაუზრუნველყო კვლი. იხილი მხოლოდ 2 წლის წინათ გადაიღო საქართველოს ფოტოურწინაღობითა და კინემატოგრაფისტთა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა, რეჟისორმა თამაზ ბიციანიძემ.

ნოემბერი, 1988 წელი. თბილისი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მინაწილურულად მიანიჭა „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო დემოკრატია არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონთა პროექტების წარმოდგენილი სახით განხილვა და აუცილებლად თვლის ამ პროექტებში იმ ცვლილებების შეტანას, რომელიც ითხოვს საქართველოს საზოგადოებრიობა — ნათქვამი იყო იმ დღეებში გამართულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესიის დადგენილებაში. თუმცა მანამდე მოავრობის სახალხო წინ შეტერებულმა საქართველოს საზოგადოებრიობამ — მომიტინგეებმა და მოშოშილებმა ბევრად ცხადად და გასაყვად გამოხატეს თავიანთი მოთხოვნა: საქართველოს კანონები საქართველოში უნდა იქნებოდეს და საქართველოშივე განხილვადღეს!

მაშინ, ნოემბრის იმ სუსხეპარულ დღეებში, ალბათ, მწელად თუ ვინმე წარმოვიდგენდით, რომ ეს მოთხოვნა ასე მალე ასრულდებოდა — დღეს, 1990 წლის ნოემბერში, საქართველოს კანონები მართლაც საქართველოში იქნება და საქართველოში განხილვას და ეს სულ რაღაც ორ წელიწადში მოხდა!

მაგრამ სწორედ ამ ორ წელიწადში გადავხვდა ქართველებს იმდენი უბედურება, სხვას იქნებ მთელი სიცოცხლიც რომ ეყოფოდა (და აი ბევრ ქართველსაც მთელ დარჩენილ სიცოცხლედ დაუჭა ისინი): მ აპრილი, აფხაზეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის სისხლიანი და ტკივილით სახეე დღეები...

მაგრამ 1988 წლის ნოემბერში, ყველაფერი რომ უსისხლოდ დამთავრდა, ალბათ ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ წინ ამდენი გამოცდა გველოდა. არანაკლებ გაგვიჭირდებოდა იმის დაჭერებაც, რომ ასე ერთ სულ და ერთ სორც შეტრულ ქართველობას (ამ ფოტოებზე რომ ხედავთ) ოდესმე რამე გათიშავდა და იმასაც მოვესწრებოდით, რომ ქართველზე ვინმე სხვა კი არა, თავად ქართველი აღმართავდა ხელს, — გაგვიჭირდებოდა, რადგან მაშინ არავის ჰქვავდნენ... ტყავის ქურთუკის, ლიტრი ბენზინის გამო... მაგრამ ესეც მოხდა... ესეც დაიტია ამ ორმა წელიწადმა — ნოემბრიდან ნოემბრამდე.

მაგრამ ნოემბერი — გიორგობისთვე, ჩანს, პირველ რიგში, მაინც გამოჩნეულად სასიკეთო ნიშანს გვაძლევს ქართველობას — სასიკეთოდ ბობოქარი იყო 1988 წლის ნოემბერიც (ფოტოებზე იმ დღეების მოვლენებსაც ხედავთ), 1990 წლის ნოემბერმა კი გემშარტად საქართველოს ადღიეების ნიშანი მოგვცა ქართველებს.

მაშ, მივევით ამ ნიშანს, მივევით და ვიჭკაროთ — პირველი აბობოქრებული ქართული ნოემბრიდან ზომ სულ ორი წელია გასული, ორი წელი და... მთელი სიცოცხლე...



ინტერნული  
გინგლინიტა

საპარტეზო

- მართლმადიდებელ ეკლესიას მინისტრთა საბჭოს სამინისტროებსა და უწყებებს... მართლმადიდებელ ეკლესიას მინისტრთა საბჭოს სამინისტროებსა და უწყებებს... მართლმადიდებელ ეკლესიას მინისტრთა საბჭოს სამინისტროებსა და უწყებებს...

მუსიკა



ქართული მუსიკის ენციკლოპედია

ჩვენ მხარს ვუჭერთ კონსტიტუციურ - მონარქიას და ბაგრატიონთა ათასწლიანი დინასტიის აღდგენას.

- 1. საქართველოს სრული დამოუკიდებლობა. 2. ქართველი ხალხისა და მათი ინტერესების დაცვა მორალურად და ფიზიკურად. 3. ქართული მიწების დაცვა ნებისმიერი აგრესიისაგან. 4. ქართველი ხალხის შეკავშირება და ერთ მუშტად შეკრება მოსალოდნელი მტრებისაგან თავდასაცავად. 5. ქართველი ერისათვის სასურველი დემოკრატიული ვითარების შექმნა. 6. საქართველოს გადაქცევა უმღიერეს სახელმწიფოდ. 7. საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამყარება და ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა. 8. ქართველი ერის კანონიერი ისტორიული უფლებების და საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა მის ისტორიულ საზღვრებში. 9. ორგანიზაციის ქართველ შეფიცულთა კავშირი იმით გამოიწვევა, რომ კავშირში მიიღონ ნებისმიერი ქართველი, რომელიც გააწევრიანებისას ლებულობს საზიარო ფიცს და არ აბოი სხვა რომელიმე პარტიის ან პოლიტიკური გაერთიანების წევრი. 10. კავშირის ყველა წევრი ვალდებულია: დასთმოს ყოველივე პირადული, არ დაიშუროს საქუთარი სიცოცხლე საქართველოსათვის და ქართველი ერისათვის; ჰქონდეს საიმუშოო ქართული ოჯახი, იყოლოს სამი შვილი და მეტი; ეწეოდეს გარკვეულ შრომით საქმიანობას, ამოუდგეს მხარში ყველა ქართველს, იბრძოდეს ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოების გავრცელებისათვის, მორწმუნეთა და ეკლესიების დაცვისათვის. დაეხმაროს გაჭირვებულ და ინვალიდ ქართველებს. დახმარება გაუწიოს ქართველ პატრიარქს, მათ ოჯახებს და საპატრიარქოებიდან ახლად განთავისუფლებულებს. დაეხმაროს მრავალშვილიან ქართულ ოჯახებს. 11. კავშირი და მისი წევრები პატივისცემით მოეპყრობიან საქართველოში მცხოვრებ იმ არაქართველებს, რომლებიც საქმით დაუქვერდნ მხარს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, საქართველოს დამოუკიდებლობას, პატრიარქს სვეტიცხოველს, მის ენას და კულტურას. კავშირი სასასული ღონისძიებებს მიიღებს იმ არაქართველებისადმი, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევინებენ ეროვნულ მოძრაობას. 12. კავშირი განახორციელებს ყველა საწინააღმდეგო მოქმედებას იმ ქართველებისადმი, რომლებიც შემჩნეულნი იქნებიან ანტიქართულ საქმიანობაში მიუხედავად მათი პოლიტიკური, რელიგიური, სამსახურეობრივი თუ სხვა მდგომარეობისა. კავშირი განსაკუთრებით ებრძვის ყველა იმ მავნე გამოვლინებას და პირებს, რომლებიც მოქმედებენ ეროვნული მოძრაობის სახელით, ირქის ცხებზე საკუთარი მოქმედებით და პირადი გამოჩინების მიზნით ეტმანებებიან მას. 13. ქართველ შეფიცულთა კავშირის სათავეში უდგას და ხელმძღვანელობს კავშირის თავმჯდომარე კავშირის წევრები გაერთიანებულნი არიან ფილიალებში, რომელთაც ჰყავთ ხელმძღვანელები. კავშირში შეიძლება იყოს როგორც ლეგალური, ისე არალეგალური წევრი. კავშირის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც ტარდება 3 წელიწადში ერთხელ, განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება მოწვეული იქნას რიგგარეშე ყრილობა. კავშირის აქვს საკუთარი დროშა, ლერბი და ჰიმნი. ქართველ შეფიცულთა კავშირი პატივს სცემს ყველას, ვისაც გარკვეული წილი შეეძინა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. კავშირი მჭიდრო ურთიერთობაშია სინგილოში მცხოვრებ ქართველებთან და აქვს ფილიალები კახეთის სხვადასხვა კუთხეში. 14. ქართველ შეფიცულთა კავშირის მთავარი შტაბბინა მდებარეობს თელავში.

უპირის საპარტეზო

მაგრამ ხსნა, არამარტო პოლიტიკურ-ეკონომიკური განახლების ძიებაში და მათ აღორძინებაში. საქართველოს, ქართველ ერს და საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენელს, დღეს, როგორც არასდროს, სჭირდება კულტურის, ესთეტიკური შეგნებისა და გემოვნების ახალი დონე. ქართული მუსიკა იყო და იქნება ერის კულტურის, მისი შეგნების ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება. დღეს საქართველოს სჭირდება იმ უდიდესი სტრესის მოხსნა, რომელიც მეორე წელია ძალუძად აწვება თითოეულ ჩვენთაგანს. მარტო ეხთუზიანებით შორს ვერ წავალთ. ყოველ კეთილ საქმეს ძალისხმევა და საქმიანობის თანადგომა ესაჭიროება. სწორედ ამიტომ: 1991 წლის თებერვალში ტარდება „ქართული მუსიკა და ქორეოგრაფია - 91“ კონკურსი, რაც კიდევ ერთხელ მისცემს ერს საშუალებას გააძლიეროს თავისი ნიჭი და ცოდნა. საქართველო შეიქმნას პირობა, რომ კიდევ უფრო

საქმიანად გამოვიყენოთ ქართველი ერის ყველაზე დიდი სიმდიდრე, მისი პოეტურობა, მუსიკალურობა და მოქნილობა, გავუხსნათ მას ფართო გზა საერთაშორისო სარბიელზე. ამასთან დაკავშირებით მოვიწოდებთ, გახედოთ ღონისძიების ჩატარების სპონსორი, მიიღოთ აქტიური მონაწილეობა აღნიშნულ საქმიანობაში, შეიტანოთ თქვენი წვლილი ქართული მუსიკალური კულტურის აღორძინებაში, რაც უკეთ მიხედავდა მომავალ განახლებულ, თავისუფალ საქართველოს. აღნიშნულ საქმიანობაში თქვენი მონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს, როგორც ცალკეულ შემსრულებელთა და კოლექტივების თანადგომაში (თქვენი საქმიანობით, საჭირო დაფინანსებით ან აუცილებელი აღჭურვილობის შექმნაში ანა თუ იმ კოლექტივებისა და შემსრულებლებისათვის, განსაკუთრებით მაღალმთიანი რაიონების, საინფორმაციო, სვანეთის, მესხეთ-ჯავახეთის რაიონების მოსახლეობისათვის), ასევე ორგანიზაციებისათვის დახმარებით საკონკურსო ხარჯების გასაწევად (განზრახუ-

ლი გვაქვს მოვიწვიოთ სხვადასხვა ქვეყნებიდან მენეჯერები, ბიზნესმენები და საქმიანი წრეების წარმომადგენლები ქორეოგრაფიულ და კოლექტივებთან და შემსრულებლებთან კონტაქტების გასაფორმებლად; ამასთანავე, უნდა მოვიწვიოთ უცხოეთში მყოფი ქართული სათვისტომოების წარმომადგენლები და უცხოელი შემსრულებლები და კოლექტივები. გაცნობებთ ჩვენს რეკვიზიტებს: ანგ. № 100700035 ქ. თბილისის კალინინის რაიონის ბინსოცბანკი - კონკურსისათვის. ჩვენი მისამართია 380008, თბილისი, რუსთაველის პრ. 22, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მენეჯერული გაერთიანება - „კონკურსი“. თქვენი ნებართვით, თქვენს მიერ აღნიშნულ საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ გამოცხადდება პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში. იმედი გვაქვს, გულგრილი არ დარჩებით ერის კულტურული აღორძინებისადმი. პატივისცემით კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი.

განცხადება

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობა და კომპოზიტორთა კავშირი 1991 წლის თებერვალში ატარებს „ქართული მუსიკა და ქორეოგრაფია-91“ კონკურსს. კონკურსის მიზანია, შეიქმნას პირობა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოვლინდნ ქართული მუსიკის და ქორეოგრაფიის აქტიური შემოქმედნი და საუკეთესო შემსრულებლები; ამასთანავე, მიზნად ვისახავთ დაეამყაროთ მჭიდრო კონტაქტები საზღვარგარეთის ფირმებთან და საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან, რათა უკეთ შევძლოთ ერის ყველაზე დიდი სიმდიდრის, მისი მხატვრული შემოქმედებით პოეტურობის ფართო ასპარეზზე გატანა, რისთვისაც კონკურსის ფინალში მოწვეული იქნებიან მენეჯერები და საქმიანი წრეების (ფირმების) წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებიდან. კონკურსის ჩატარება არ ისახავს მიზნად კულტურის დაწესებულებების მუსიკალური საზოგადოებისა და შემოქმედებითი კოლექტივების მიერ გაწეული შრომისა და მოღვაწეობის საერთო შეფასებას. კონკურსის მთავარი ამოცანაა ცალკეული გამარჯვებულის გამოვლენა კონკრეტული ნაწარმოების შესრულებისას. ამიტომ შემსრულებელი ან შემსრულებლები კონკურსზე წარსდგებიან ცეკვებში ერთი და სიმღერებში - ორი ნომრით.

Table with 2 columns: Roman numerals (III, IV-VI) and text descriptions of awards and prizes.

V - გუნდები

Table with 2 columns: Roman numerals (I, II, III, IV-VI) and text descriptions of awards and prizes for ensembles.

აკაპულარული სიმღერები VI - სოლისტები და მცირე ჯგუფები

Table with 2 columns: Roman numerals (I, II, III, IV-VI) and text descriptions of awards and prizes for vocalists and small groups.

VII - ოჯახური ანსამბლები

Table with 2 columns: Roman numerals (I, II, III, IV-VI) and text descriptions of awards and prizes for family ensembles.

კონკურსზე დაწესებული დამატებითი ჯილდოები:

- საუკეთესო სიმღერისათვის პოპულარულ ქანრში (სიმღერის ავტორს) - 1 ათ. მან. საუკეთესო ქორეოგრაფიული დადგმისათვის (დადგმის ავტორს) - 1 ათ. მან. ორიგინალური კოსტუმებისათვის (მხატვარ-კოსტიმორს) - 1 ათ. მან. საუკეთესო უცხოური კოლექტივის ან შემსრულებლისათვის (2+2+1) - 5 " "

„ქართული მუსიკა და ქორეოგრაფია-91“ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია მონაწილეების ან მათი წარმომადგენნი დაწესებულებების მიერ ორგანიზატორში თითოეულ მონაწილეზე შემტრებული იქნას 50 მანეთი (თუ მონაწილეს სურვილი აქვს რამდენიმე სახეობაში მიიღოს მონაწილეობა, თანხა უნდა იქნეს შემოტანილი თითოეულ სახეობაში ცალ-ცალკე). კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა კონკურსის დაწესებულებაში, ქ. 30/XII-მდე უნდა იქონიონ შემოტანილი თანხის გადახდის ქეითარი, რომლის ასლი უნდა გამოგზავნონ, ან პირადად წარმოადგინონ ნებისმიერი ფორმის განცხადებით საკუთარი სრული მისამართისა და საკონკურსო სახეობის (სახეობების) ჩვენებით ორგანიზატორის სახელზე, ყოველგვარი ცნობები კონკურსის პირობების გასარკვევად შეგიძლიათ მიიღოთ რესპუბლიკურ ორგანიზატორში მისამართით: 380008, თბილისი, რუსთაველის პრ. 22, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მენეჯერული გაერთიანება - „კონკურსი“. საბანკო რეკვიზიტები ანგ. № 100700035, ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკი.

ორგანიზატორი

ხალხური ქორეოგრაფია

Table with 2 columns: Roman numerals (I, II, III, IV-VI) and text descriptions of awards and prizes for folk choreography.

II - მოცეკვავეთა მცირე ჯგუფები

Table with 2 columns: Roman numerals (I, II, III, IV-VI) and text descriptions of awards and prizes for small dance groups.

ხალხური სიმღერები III - სოლისტები და მცირე ჯგუფები

Table with 2 columns: Roman numerals (I, II, III, IV-VI) and text descriptions of awards and prizes for folk singers and small groups.

IV - ანსამბლი

Table with 2 columns: Roman numerals (I, II) and text descriptions of awards and prizes for ensembles.

# ვემსახურეთ რესპუბლიკას

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ახლად არჩეული მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესია, — დრომოკმეულის დაცემა, ახლის აღზევა.

1990 წლის 14 ნოემბერი — ახალი საქართველოს ახალი ისტორიის თავფურცელია, — „რესპუბლიკის“ პირველი დღე... ყურადღივად შევხედოთ! ისევ „ნოემბერი“, ისევ ისტორიული ცვლილებები.

გამართა საქართველოს ახალი უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესია.

ამ დღეს ბევრი რამ „პირველად“ იყო.

ამ დღესთვის საბუნდოვანი ნოემბრის ჩვენს ქართველ კომუნისტთა პირველი მემბრისგან განსხვავებით, — „კომუნისტ“ ახალი სახელწოდებით, — „ახალი საქართველო“ — იგივესა და მითხველ-საზოგადოებას. ბევრისთვის ეს სახელი ახალია. ახალი მთავარია არა მხოლოდ სახელის, ფორმის სიხსნე, არამედ შინაარსის შეცვლა — სახელწოდება. ნათქვამი არა მხოლოდ ხსენებულ განხილვის შედეგად, — არამედ თითოეული ჩვენგანის შინაარსობრივად, სხარისობრივად, სულიერ-ზნეობრივად ახალ განაწესს, მოწოდებას, მოქმედებას იტევს და გულისხმობს.

ესაა საქმე, კონკრეტული საქმე პარლამენტის პირველ სესიაზე ამჟამად გატარდება.

ქართველი საზოგადოება, როგორც ჩანს, კარდინალურ სახეცვლილებას განიცდის. უპირველეს ყოვლისა — მმართველი კადრების შეცვლა, მათი განაწილება სფეროებში, რაც ბაზისური, იდეოლოგიური, სულიერ-ზნეობრივი საყრდენების განმსაზღვრელ და წარმმართველ ძალად წარმოსდგება.

გურამ რჩულიაშვილის ნათქვამია: „... სანამ მექნება სურვილი რამის, ვერა, ვერა შევქმამ მოწვევნილობა“. ჩვენ ბევრი სურვილები გვაქვს: ჩამოჭრებული აღსრულება, უახლოესი და შორეული მომავლის სამსახური.

ჩვენს სინამდვილეში საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ პირველად არჩეულია ქართველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, რადიკალური იპოზიციის ლიდერი — ბატონი ზვიად გამსახურდია. მან ვრცელი, სპარტაკო სიტყვა წარმოსთქვა. სესიის მსვლელობას, ტელევიზიის საშუალებით, სრულიად საქარავლო დაინტერესებით ადევნებდა თვალყურს.

ეს გაბლად ლიდერის გამარჯვება, რომელმაც კომუნისტების ტანტი პირველად ოფიციალურად შეარყია და მმართველობაში თავისუფლება, დემოკრატია დასვა.

11 ნოემბრის ახალი უზენაესი საბჭოს დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების მეორე ტურში, ისევე, როგორც 28 ოქტომბრის არჩევნებში, საქართველო, ქართველი ხალხი ამჟამად დემოკრატიის, თავისუფალი ნების გამჟღავნების, „მსოფლიო სტანდარტების“ დონეზე აღმოჩნდა, — ჩვენს სინამდვილეში ქვეყნის დემოკრატიის, თავისუფლების დამკვიდრების სურვილი ჩანს.

ჩვენ მუდმივ კომფლიქტში ვართ სურვილებსა და ინტერესებს შორის, მაგრამ ამის ვარაა არსებობენ ვალდებულებები, რომლებსაც უკანასკნელი მნიშვნელობა როდი ენიჭება. თუ მოსურვებ კალპანი მითრთვა, მაშინ ვფიქრობდეს, მათსაც არ უნდა გეშინოდეს. მათულის, საქმის სიყვარულს ხშირი თქმა არ უნდება — ქედის მიშველება უნდა. ისტორია ეკუთვნის

არა ცალკეულ პარტიებს, არამედ ხალხს. ძველ ქართველ უთქვამს: ხარის ქედს გაუმარჯოს, ვაქცავს მარჯვენას, დილის ცისკარს, ზევით მზეს და ქვევით დედამიწას.

„... ხარისხს ამაღლებს ყველა, თითოეული იძლევა იდენტობა“ — იპოზიციების ცხოვრებაში და საქმიანობაში დამკვიდრებული დღევანდელი მოწოდება — ლოზუნგია. ურიგო არ იქნებოდა მსგავსი ლოზუნგი-მოწოდება ჩვენს სინამდვილეშიც დამკვიდრებულიყო. როდესაც თითოეული ჩვენთაგანი ყოველ ცისმარე დღეს საკუთარ თავს გასრულებს, გააკეთებდა იმედი, სრულყოფის ზნეობრივად და პროფესიულად, მაშინ ჩვენი ყოფა მით უფრო უკეთესობაშიაქნ შეიცვლება.

ჩვენს როდესაც ქებას იტყობდნენ, კომპლიმენტს ეუბნებოდნენ, იგი, როგორც წესი, მეორებზე-მოსაუბრეს სიტყვას ბანზე უდებდა და ეკითხებოდა: მითხარი, გეთაყვა, თქვენ „სელიოდას“ სად ყიდულობთ? ჩვენს შენობებს სამწუხაროდ მსგავს შეკითხვას ვერ დაუსვამთ — სადაა „სელიოდა“? — თუმცა ატლანტიკის ოკეანე ისევ იმ ადგილზეა.

ქვეა და გონება ჩვენ ყველას საქმარისი გაგვაჩინა. თავმოყვარეობაც ყველას ჭარბად გვაქვს. ადამიანის ერთი მთავარი თვისება იმედიც გამოიხატება, რომ გრძნობს, ხედავს, ამჩნევს მხოლოდ სხვათა ნაკლოვანებებს — და ვერ გრძნობს, ვერ ხედავს საკუთარ ხარვეზებს. ვაქცავთ ადვილია სხეთა ჩაჭვებისაგან განინთავისუფლო. — რის მიღწევა-გაყვებასაც ჩვენ ვცდილობთ, — ვიღაც გონება, სული დაიხსნა ჩაჭვებისაგან. მზად ვართ თუ არა საამისოდ — ვიცხოვროთ „ჩაჭვების“ გარეშე? ახლად უნდა ვისწავლოთ ახალი ცხოვრება. საშიშროების წინათ-გრძნობა, — სანახევროდ მის გვერდისავლას ნიშნავს.

ჩვენ, იმედი, ჩამოყალიბებული ზნეობა — ჩანართელი მსოფლმხედველობის მუდმივი, აუცილებელი მეგზურებია! ხომ არიან სოციალურად უფერული ადამიანები? გათხარდა ახალი პროგრამების, პროექტების, წინადადებების უსაზღვროდ გამწვავებული კონკურენცია, — იდეების თავი-

სუფალი ბაზარი. ჩვენში „საბაზრო ეკონომიკის“ შემოღება და დამკვიდრება — იგივეა, რომ „მერსედის“ უდაბნოში არბენინო, თუმცა რაღა უდაბნოზე ვლაპარაკობთ, „მერსედის“, — ასე გაიგე „საბაზრო ეკონომიკას“, — უდაბნოში კი არა, — ჩვენს „გზებზედაც“ არანაქვებ გაუჭირდება სირბილი.

ცხოვრება გვკარნახობს, სიტყვა და ცნება „პერსტროიკა“ — ხმა-რებიდან ამოვიღოთ, ისევე, როგორც გაკორებული ცნებები; „სოციალიზმი“, „ხუთწლიანი“, „კომუნისმი“, „სოციალიზმი“, ბევრი სხვა, — რომლებიც ამ სიტყვებთან და ცნებებთანაა დაკავშირებული.

„საქართველო“ ვითომდა არაა, — გაგება არ არის. ალბერტ კამიუს ერთი საოცარი აზრი და გამოთქვამი აქვს: „... საქმენი ვაქცობთ უკეთ წარმართვად, თუ ერთხელ და სამუდამოდ გამოვირცხვებთ იმედს“ — თ. ცხოვრებაში ჩვენ არც თუ იწვიათად ვეთრავებით ზოლზე იმედს, მამადადამე არის იმედი, რომ საქმენი ვაქცობთ უკეთ წაგვიკვა. საქართველოს რესპუბლიკის გაახალგაზრდავებულმა პირველი მოწვევის პირველმა სესიამ, — პარლამენტის წევრებმა ალტერნატივის თამაშის გარეშე აირჩიეს მთავრობის თავმჯდომარე, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილე, სხვა და სხვა კომისიების თავმჯდომარეები და მოადგილეები, რომელთა კანდიდატურებიც დეპუტატებმა ერთსულოვნად ტანით დადასტურა.

მათი პროგრამული განაცხადები, შეკითხვებზე ყოვლისმომცველი, ინტელექტუალური, ღრმა შინაარსიანი პასუხები, ისევე, როგორც მათი საერთო „მიჯი“ — შთაბეჭდილება, — პირველი დასკვნების გაკეთების გარანტიას იძლევა; საქართველოს, ქართველ ხალხს რაოდენ დიდი პოტენციური შესაძლებლობები ჰქონია საზოგადოების ისეთ მთავარ და მნიშვნელოვან „სფეროში“, როგორცაა განათლებული, ინტელექტუალური, საერთაშორისო მოწინავე აზროვნების სტანდარტების დონეზე მყოფი პროფესიონალებისა, — ახალგაზრდა პლეადა, რომელთა მამუ-

ლიშვილური, გონიერი, პატრიოტული სამსახურის წყალობით რესპუბლიკის საშუალება მიეცემა თავი დააღწიოს დღევანდელ რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სულიერ-ზნეობრივ დაქინების პირას მისულ ვითარებას.

ასეთი დაღვანდელი პირველი შთაბეჭდილებები. კაცი ანახდათ იმაზედაც დაფიქრება, — წარსული ათწლეულების მანძილზე საქართველოს ხელისუფლებაში, საკანონმდებლო, აღმასრულებელ ორგანოებში, სამინისტროებში, სხვა მმართველობაში მსგავსი პროცესები — ლიდერები რომ გვეყოლოდა — საქართველო დღევანდელ საერთო ქაოსს იქნებ თავს დააღწევდა, ქართველ ხალხს მსოფლიო ცივილიზაციის რუკაზე სრულიად სხვა წონა, ავტორიტეტი ექნებოდა.

საქართველოს რესპუბლიკის წინ, მომავალში ისევ დავითისეული „ოქროსი ხანა“ ელის.

მანამდე კი...

14 ნოემბრის საქართველოს ახალი უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველმა სესიამ საქვეყნოდ ხმადალა განაცხადა.

საქართველოში ამ დღიდან დროს ორი განზომილება ენიჭება: საერთო ეპითამორიციული — დროის კალენდარი და საქართველოს სწრაფვა გამოიმუშავოს დროის საკუთარი საზომი, რომელიც საერთო ეპითამორიციულობას ნაკლებად დაეჭვემდებარება. — წინ გაუსწრებს: გავზრდით დღე-ღამის სახსრებს, — თითოეული ჩვენი თავანის პოტენციური გონებრივ, სულიერ, ფიზიკურ ენერჯიას, შესაძლებლობებს, რაც სოციალური, ეროვნული, ეკონომიკური, პოლიტიკური ტრანსის მომცემი წინაპირობა იქნება.

14 ნოემბრის „საქართველოს რესპუბლიკის“ უზენაესი საბჭოს ახალმა შემადგენლობამ დადასტურა:

დაცხრეს ქიში, შური, ძმათა კვლა, სიბუღვილი...

დადგა ეპი ფხიზელი, მშვიდი განსჯისა, სიმწიფისა, ერთობისა... ჩერი საქმენი, მოქმედებას... მკვიდრად, წაუვლად, მარადკამიერ...

ვემსახურეთ „რესპუბლიკას“

აბთაწილ გველსინან

დღეს ნებისმიერი მერვეკლასელი მოგიყვება იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა სექსუალური რევოლუცია დასავლეთში, მაგრამ ცოტა ვინმესათვის თუა ცნობილი „წითელ რუხეთში“ მომხდარი სექსუალური რევოლუციის წერილობრივი ამაზე საბჭოთა ისტორიკოსები გასაგები სიმორცხვის, ხოლო დასავლეთელები — მასალების უქმარისობის გამო დუმან.

ამ წერილობრივების შესახებ ესტონეთის საზოგადოება „ცოდნის“ მიერ გამოცემულ გაზეთ „პილიკში“ მხარეთმცოდნე ინგვარ ლუხაიერი მოგვითხრობთ:

— ძველი გაზეთების ფურცლისას ზოგჯერ განცვიფრება გიპყრობს. რა უნდა ეფიქრათ ვლადიმირის მცხოვრებლებს, თავიანთ საქალაქო გაზეთის 1918 წლის 26 მარტის ნომერში რომ შემდგომ განცხადებას წაიკითხავენ: „18 წლისა და მეტი ასაკის თითოეული გაუთხოვარი ქალი გამოცხადებულია სახელმწიფოს საკუთრებად და ვალდებული რეგისტრაციისაში გაეტაროს თავისუფალი სიყვარულის ბუროში. აქ 19 წლიდან 50 წლამდე ასაკის მამაკაცებს შეუძლიათ შეარჩიონ სასურველი ქალი, მიუხედავად ამ უკანასკნელის სურვილისა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ტალინში 1917 წლის 7 ნოემბრიდან 1918 წლის 23 თებერვლამდე იარსება, მაგრამ მან ამ მოკლე დროშიც კი მოასწრო ობრეულობა. წველი შეეტანა სექსუალური რევოლუციაში. ცივი დემოკრატის დღეებში ტალინში ტრანკვაბით მოგზაურობდა საუცხოო აგებულების ქალი, რომლის მთელი ტანსაცმელი შედგებოდა ბეჭვის, ბოტებისა და წითელი ზონარისაგან, წარწერით „ძირს სირცხვილი“.

ბევრ მგზნებარე რევოლუციონერს ახალი მორალისთვის ბრძო-

## სექსუალური და სოციალისტური რევოლუცია... ერთმანეთის კვლადკვალ

და სახელმწიფო საქმედ მიიჩნედა. ასე მაგალითად, 1927 წელს (15 მარტი) გაზეთი „კომსოპოლსკია პრავდა“ წყუდა, რომ კომკავშირებს ყველგან როდი ესმით მათ წინაშე მდგომი ამოცანები. ასე მაგალითად, ალტაიში ბიის მახრასა და ვორონეჟის გუბერნიის ოსტროვოკის მახრასში კომკავშირულმა უკრედებმა გადაწყვიტეს, რომ მათი მთავარი ამოცანაა „თავისუფალი სიყვარულის“ სიტყვით და საქმით პროპაგანდა და აქტიურად შეუდგნენ კიდევ მის შესრულებას.

1925 წელს გამოვიდა კრებული „ქორწინება და ოჯახი“. ერთ-ერთი მისი ავტორთაგანი ვ. სტროვი ამტკიცებდა, რომ ოჯახი უნდა მოკვდეს უკვე ჩერ კიდევ სოციალისტის დროს. ამავე კრებულში აღინიშნა, რომ კომკავშირებს შორის ქორწინებები იშვიათობად იქცა. სხვათაშორის, თვითონ გოგონები უპირატესობას ანიჭებდნენ ქორწინების გარეშე სქესობრივ კავშირებს.

იმავე წელს გამოიცა კრებული „სიყვარულზე“, რომელშიც შეხვედებით ახალგაზრდა მუშის ა. რუბცოვას წერილს: „ჩემი მეგობრის ქმარმა, რომელთან ერთადაც ვმუშაობ, შემომთავაზა გამეტარებინა მასთან საღამო, რადგანაც

მისი ცოლი ამჟამად შეუძლოდა და მისი დაქვადილება არ შეუძლია. როცა უფრო ვუთხარი, მან სულელი და მეშინი მიწოდა, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს სქესებს შორის ურთიერთობის შესახებ კომუნისტურ შეხედულებებზე. ამის შემდეგ ის აღარც კი მომსალამბია“.

სექსუალური რევოლუციის ერთ-ერთი იდეოლოგი ი. ბულატოვი მუშებს, განსაკუთრებით კი კომუნისტებს, სთავაზობდა შეეკრებოთ ახალმობილი ბავშვები და ისინი ბავშვთა სახლებისთვის გადაეცათ. ამის შემდეგ მუშაობებს შეეძლოთ მამინევე ახალი ოჯახების მშენებლობას შესდგომოდნენ. როცა მუშაობისაგან ბულატოვს გახეტის საშუალებით ჰქონდა, ხომ არ იყო ეს ძალიან ნაქარები, აქ სწორედ კომუნისტური ოჯახში იქმნებოდა იდეალური ატმოსფერო ბავშვების დედოფლოვითი აღზრდისათვის, პასუხი ასეთი იყო: „ბავშვების ოჯახში აღზრდა — უტოპიაა. ასეთ ბავშვებს არ შეეძლებათ კომუნისტურში გაიზარდონ. ოჯახი — ესაა ოპიუმი მშრომელი ხალხისათვის“.

სექსუალური რევოლუციის კიდევ ერთი იდეოლოგი დ. სავლეი წიგნში „ვინ არის დამნაშავე“ (1928 წ.) წერდა, რომ ადამიანისათვის ცხოვრებისეული მონოგამი-

ური ქორწინება თანაცხოვრებისათვის ბიოლოგიურად არაბუნებრივი ფორმაა. ადამიანს, სიყვარულის განცდის შემდეგ, გარკვეული დრო მარტო ყოფნა, თანაცხოვრებისაგან დასვენება, მხოლოდ სამუშაოზე ყურადღების გამახვილება სწყურია, რათა შემდეგ კვლავ ვამოსცადოს სიყვარული, რასაკვირველია, ახალ პარტიოტთან. სექსუალური სავლეი ხედავდა რევოლუციური ძალის, მეშინიური, ცოლქმრული ცხოვრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორ გამოიყურებოდა დასავლეთის თვალთ საბჭოთა სექსუალური რევოლუცია? დაახლოებით ისე, როგორც დასავლეთის სექსუალური რევოლუცია ნახევარის საუკუნის შემდეგ საბჭოთა პრესის თვალთ. ჰერბერტ უელსი 1920 წელს წერდა: „ამოუხედავად სახალხო განათლების აღმავლობისა და ახალგაზრდობის ინტელექტუალური ზრდისა, რუსეთის სოციალისტური რევოლუცია მკაცრად და ქალაქებში ყმაწვილკაცობის შორის ჰარბობს თავაშეებულობა, განსაკუთრებით სქესობრივი ცხოვრების საკითხებში“. სტალინმა სექსუალური რევოლუციის ჩქარა ბოლო მოუღო. ადამიანის მიმზიდველობა განისაზღვრა არა მისი გარეგნობით, არამედ პარტიისადმი, პირად აღზნავ სტალინისადმი თავდადებითა და შრო-

მითი მიღწევებით. 30-იანი წლების ახალგაზრდული პრესის ფურცლებზე ხშირად შეხვდებოდით ასეთ აღიარებებს:

„ჩემს ახლანდელ მეუღლეს ეკვებებ ან ბულდოგში შევხვდი. მე მას ყურადღებას სულაც არ მივაქცედი. ასეთი შეუხედავია ის გარეგნულად. არც ფაბრიკაში შემომჩნევიდა, სადაც ჩვენ ერთად გმუშობთ, თუმცა არავითხელ შეხვდით გასასვლელში ერთმანეთს. მაგრამ ერთხელ მე შევიხედე სამაქროში, სადაც ის 150 ტონიან პრესზე მუშაობდა და“....

საბოლოო კამში, საბჭოთა კავშირსა და დასავლეთში საქსუალური რევოლუციების შედარებისას უნდა აღინიშნოს, რომ თუ დასავლეთში მისი გამოვლინება უფრო ფართო და დემოკრატიული გახლდათ (ასე მაგალითად, საზოგადოება უკვე მოთმინებით იტანდა ეროვნულულობის სხვადასხვა გამოვლინებას, ცოდვის ცნება უფრო შეიზღუდა, საზოგადოებამ ისწავლა კულტურულად გადაეწყვიტა სექსთან დაკავშირებული პრობლემები, ფრთხილად მოკლებოდა ადამიანის ფსიქიკას), საბჭოთა კავშირის ათწლიანი სექსუალური რევოლუციისაგან კვალი არ დარჩენილა. ეს მოძრაობა მართლმადიდებლური მორალის ფონზე შადრევანდით წარმოიშვა, განსაზღვრა იგი და თვითონაც მიწასთან გასწორდა სტალინური რევოლუციის ხელთ, რომელმაც ადგილი დაუთმო შრომის არანაქვებ მკაცრ პათოსს, როცა მხოლოდ და მხოლოდ წარმოების მოწინავეს შეეგარება შეიძლებოდა. იშვიათად, გამომაქლისის სახით სხვებისად, მაგრამ აუცილებლად მისი გამოსწორების, დანაშარების მიზნით.


თარგმანი გაია თუნგიათ დაიჭესტი „ხაბტია“.

## პირველად საქართველოს ისტორიაში

უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ს ღოცვა-კურთხევით, საქველმოქმედო ასოციაცია „ლორთქიანი“ გამოსცა ქართული ეპარქიების რუკა „ქრისტიანული საქართველო“.

რუკები შეგიძლიათ შეიძინოთ ქართულ ეკლესიებში. შემოსული თანხა გადაირიცხება სოფელ კუჯაბის მშენებლობის ფონდში.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“



# VISA

ვიზების სათარგმნად გთხოვთ, მიმართოთ კოოპერაციულ ფირმა „საპანე“, რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე ვიზების თარგმნა სდება ერთ დღეში. გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით 22-58-40 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ჩიხი №3.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

## რეკლამის მსურველებს

საწარმოებს  
ფირმებს  
კოოპერატივებს

კერძო პირებს

თუ გსურთ საკუთარი საქმიანობის ან პროდუქციის რეკლამირება გაზეთით ან ტელევიზიით, გახსოვდეთ, რომ გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“ და სატელევიზიო გადაცემების „ილუსიონი“-სა და „ვიდეო-ვიდეო“-ს ეთერული დრო საუკეთესო პირობებს შეგიქმნით ამისათვის.

რეკლამების შესაკვეთად მიმართეთ მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. №1

ტ: 37-58-25  
37-06-64

ფირმა „არგო“-ს  
სარეკლამო სააგენტო  
„არგო-ბლიკი“



იყიდება

„ქრისტიანული საქართველო“ მსურველებს შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. №1. ტელეფონები: 37-58-25 (11.00სთ-დან 16.00სთ-მდე), 62-19-74 (19.00სთ-დან 21.00სთ-მდე).

სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკი“

## კოოპერატივი „საპანე“

კერძო ავტომანქანების მფლობელებს სთავაზობს მოსახლეობის მომსახურებას. გადასახადი თვეში 30 მანეთია.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გლდანის მახვილი, V მიკრორაიონი, აგროსამრეწველო ბანკის მიმდებარე ტერიტორია, წითელი ჯიხური წარწერით „საპანე“ (9.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე).

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“



გვერდი აწვობილია კომპიუტერზე კოლექტიური სარეკლამოების საინფორმაციო-გამოთვლით ცენტრში.

## იყიდება

კომპიუტერი, რომელიც ამზადებს პორტრეტებს კომპიუტერული გრაფიკით. კომპიუტერის წარმადობა - პორტრეტი - 2 წთ.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №1, კოოპერატივი „საპანე“.

ტელ: 37-58-25 (11.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე).

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

მისამართი: თბილისი, წერეთლის ქ. №130.  
ტელეფონი: 35-26-44.

**სალომერია**  
ქვერიული

Общественно-политическая молодежная газета  
«Ахალгаზდა ივერელი»

ტელეფონები: მისაღები — 96-97-81;  
პასუხისმგებელი მდივანი — 96-81-58;  
წერილების განყოფილება — 99-80-49.

ბავთი პაპოლის კვირის სააგენტო  
საქართველოს ავტორიტეტული სააგენტო  
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

რედაქტორი  
ვიკა ბალაჩიშვილი

საქართველოს კ. ც. ე. სტამბა 380096, თბილისი-88, მ. კობახიას ქ. № 14, აბეგდება  
ოფსეტური წესით საგაზეთო კარბუსში, სომხური ქ. № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7,  
8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია  
ქ. თბილისი — 380096.  
მ. კობახიას ქ. № 14.

